*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ-ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **პაატა ჩორგოლაშვილი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**წევრები: კესო ბოყოველი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**ფიქრია მუმლაძე** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

**მეგი ტალახაძე** ( (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

**ელენე გაფრინდაშვილი** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

**ნატო შაინიძე** (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

**გიორგი ჩაჩუა** (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

**ნანა შალამბერიძე** (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

**ნონა გორგილაძე** (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

**გიორგი კოპლატაძე** (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

**ნათია კოხოძე** (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 226152533 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | დაბა |
| იურიდიული მისამართი | დაბა ახალდაბა |
| ფაქტობრივი მისამართი | ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბა |
| საფოსტო ინდექსი | 1200 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | არ აქვს |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | borAkhaldaba@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | არ აქვს |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 6 23 0001087460 06/09/2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 16/10 – 17/10/2023 |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბა |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბა |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული | ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, გამართა სამუშაო შეხვედრები, შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი. თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. სკოლა მზად იყო თანამშრომლობისათვის. ცდილობდა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის სამუშაოს შესრულების პროცესში. იყო გახსნილი და გულწრფელი. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>■ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 350 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მეორე სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **ინდიკატორი .** | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი არ დაფიქსირებულა* |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | *.ხარვეზი არ დაფიქსირებულა* |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| *სტანდარტი 3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობ ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (06.11.2023 - 06.11.2024)<br>- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებულ ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვე შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრულ ვადაში (06.11.2023-06.11.2024).<br>- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმე შესაბამის ორგანოსთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2023-06.11.2024) |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | -სკოლამ უზრუნველყოს სრული რეაბილიტაც სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (06.11.2023 - 06.11.2024 |
| ინდიკატორი 3.5.1.3 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლამ უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიურ გარემოს კეთილმოწყობა (პანდუს ადაპტირებული სველი წერტილ სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (06.11.2023-06.11.2024) |
| ინდიკატორი 3.6.3.1. | სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; | სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდ ფუნქციონირება სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (17.10.2023-26.12.2023) |
| ინდიკატორი 3.6.3.4. | სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; | სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდ ფუნქციონირება სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (17.10.2023-26.12.2023) |
| ინდიკატორი 3.6.3.5 | ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი | სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდ ფუნქციონირება სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (17.10.2023-26.12.2023) |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი_დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| | | |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| ინდიკატორი 1.1.1.5 | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ საჯაროდაა ხელმისაწვდომი; | სასურველია სკოლამ გაზარდოს დაინტერესებული პირებისთვ მისიის ხელმისაწვდომობა. |
| | | |
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| ინდიკატორი 3.4.1.2 | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; | სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოებ სპეციალისტი |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*დაწყებითი საფეხური* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;** | **ტექნოლოგიები** - ზოგიერთი კომპლექსური დავალების (მაგ.: მე-2 კლასი) იდეის აღწერილობაში, არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული შესაქმნელი ციფრული პროდუქტის ფორმატი, შესაბამისად, სასურველია დაზუსტდეს ეს ფორმატი კურიკულუმის ჩარჩოშიც. |
| *ინდიკატორი N2.1.2.2* | **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მეხუთე კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში წარმოდგენილია სავალდებულო თემა სვანეთი, რომელიც არის მე-6 კლასის |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | **ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);** | სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემა; მნიშვნელოვანია - მე-5 კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემებიდან ამოიღონ სვანეთი რომელიც როგორც სავალდებულო დამხმარე კონტექსტი უნდა დამუშავდეს მე-6 კლასში. |
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;** | **უცხო ენა** - სსსმ მოსწავლისათვის შედგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნებების ნაწილი საჭიროა იყოს ახალი სტანდარტით. (ინგლისური ენა მე-3 კლასი) |
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;** | **მათემატიკა** - სასურველია მათემატიკის საგანში, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ახალ სტანდარტზე დაყრდნობით.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეიმუშაოს და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს შერჩეული კომპლექსური დავალებების როგორც კონკრეტული განმავითარებელი შეფასების, ასევე, კონკრეტული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. |
| *ინდიკატორი N2.2.1.5* | **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.** | **მათემატიკა** - სასურველია საფეხურზე ერთი ინტეგრირებული კომპლექსური დავალების შეთავაზება მაინც მოსწავლეებისათვის და შესაბამისი განმავითარებელი შეფასების შემუშავება. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი*<br>*N2.2.2.1* | **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;** | **მათემატიკა** - მათემატიკის საგანში სხვა კლასის შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისას სასურველია მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ მათემატიკის სტანდარტით (სადაც გაწერილია თემები კლასების მიხედვით), საკითხები/ქვესაკითხები თემის ფარგლებში დააჯგუფონ ძირითადი სახელმძღვანელოდან და ცნებების იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით უზრუნველყონ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების (სტანდარტში) გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ასევე, მესამე კლასის კურიკულუმში სასურველია ყურადღება გამახვილდეს ქვეცნებებზე, კერძოდ ქვეცნება "ლოგიკა". სასურველია ყურადღება გამახვილდეს რესურსების მრავალფეროვნებაზე. |
| *ინდიკატორი*<br>*N2.2.2.2* | **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;** | **მათემატიკა** - სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს როგორ შეესაბამება მოკლევადიანი/შუალედური სასწავლო მიზნები გრძელვადიან მიზანს. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*საბაზო საფეხური* | *რჩევა* |
|---|---|---|
| ***ინდიკატორი N2.1.2.2.*** | **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სასურველია მე-7 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში გამოჩნდეს სავალდებულო კონტექსტის - ანტარქტიდის ფარგლებში, როგორ მუშავდება გრძელვადიანი მიზნები, შედეგები. ასევე, სასურველია მე-8 კლასის სავალდებულო კონტექსტი - სამხრეთი ამერიკის, ევროპის  და მე-9 კლასის პირველ სავალდებულო თემის და აღმოსავლეთ საქართველოს სავალდებულო კონტექსტის მიმართულებითაც გამოჩნდეს როგორ მუშავდება გრძელვადიანი მიზნები, შედეგები. ასევე, კურიკულუმებში, სავალდებულო თემებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მაგ.: მე-7 კლასის  კურიკულუმში - პირველ სავალდებულო თემაში არ მუშავდება  სამიზნე ცნებები : "დრო", "ისტორიული მოვლენა, პროცესი"); მერვე კლასის კურიკულუმში გაითვალისწინონ სავალდებულო თემა "კავკასია". |
| ***ინდიკატორი N2.1.2.4.*** | **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები -** საგანი მოქალაქეობის ფარგლებში სასურველია სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეიმუშაოს და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს შერჩეული კომპლექსური დავალებების როგორც კონკრეტული განმავითარებელი შეფასების, ასევე, კონკრეტული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*საშუალო საფეხური* | *რჩევა* |
|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* **N2.1.2.1** | **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;** | **სახელმწიფო ენა** - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე- 12 კლასის კურიკულუმი დაიგეგმოს სახელმძღვანელოს მიხედვით, სხვადასხვა თემის ფარგლებში, ქრონოლოგიის პრინციპზე დაყრდნობით შეარჩიონ ძირითადი და დამატებითი ტექსტები. |
| *ინდიკატორი* **N2.1.2.2** | **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმში მეორე სავალდებულო თემაში - ანტიკური ხანა არ მუშავდება სამიზნე ცნებები: "დრო", "ისტორიული წყარო"; საქართველოს ისტორიის კურიკულუმში მეორე სავალდებულო თემაში - საქართველო ანტიკურ ხანაში არ არის სამიზნე ცნებები: "ისტორიული წყარო", "საზოგადოება", შესაბამისად ვერ იდენტიფიცირდება სამიზნე ცნების დამუშავება. მე-11 კლასი - ისტორიის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი მეორე სავალდებულო თემა: „გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო." |
| *ინდიკატორი* **N2.1.2.4** | **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, სასურველია სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეიმუშაოს და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს შერჩეული კომპლექსური დავალებების როგორც კონკრეტული განმავითარებელი შეფასების, ასევე, კონკრეტული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლას აქვს მისია, "სკოლა ზრუნავს მისცეს მოსწავლეს პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის; გამოუმუშაოს მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები. იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი და აქტიური მოქალაქე, რათა ჰქონდეს საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრისა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების უნარი. სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის ხედვაა, რომ როგორც სკოლა, ასევე თითოეული სკოლის თანამშრომელი ინდივიდუალური მიდგომით, სწავლა-სწავლების პრინციპის გამოყენებით ზრუნავს აღზარდოს გონებრივად, ფსიქოლოგიურად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოსწავლეები და ამით უზრუნველყონ მათი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება,რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. თუ დავეყრდნობით ამ დოკუმენტს - სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

გაცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთ ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

• ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს წარმატება;
• ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
• ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
• ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
• ჩვენ ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას;
• ჩვენ ვაფასებთ ინიციატივას და ვზრუნავთ მის მუდმივ გაუმჯობესებაზე;
• ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
• ჩვენ ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
• ჩვენ უზრუნველვყოფთ სკოლაში ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის;

ზოგადსაგანმანათლებლოსკოლის მიერ დასახული მიზნები და ამოცანები ასახავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ტარდება შეხვედრები სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მსჯელობა სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. მისიის მისაღწევად სკოლა იზრუნებს - საზოგადოებაში აღიარებული ფასეულობების დამკვიდრებაზე; მოსწავლეთა დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან; მოსწავლეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთპატივისცემის, ეროვნული ღირებულებების დაფასების ტრადიციების დამკვიდრებაზე. საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების, ასევე პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;_სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. შესაბამისად ისევე , როგორც გრძელვადიანი გეგმა, მისია, ხედვა და ღირებულებები, შეთანხმებულია სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, რაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე მეტყველებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მისიის და ხედვის სასკოლო საზოგადოების მხრიდან გაზიარების საკითხი შეხვედრებით, მშობელთა კრებებით, სამეურვეო საბჭოთი, მიღწეულია, რაც დადასტურდა ინტერვიუირების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას. თუმცა სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, არც სოციალურ გვერდზე იძებნება აღნიშნული ინფორმაცია. **სასურველია სკოლამ გაზარდოს დაინტერესებული პირებისთვის მისიის ხელმისაწვდომობა.** ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 13.09.2005 და ბრძანება N 194 16.03.2007 განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს : სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2022-2030;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- 2023 წლის 08 და 11 სექტემბრის სამეურვეო საბჭოსა და 2023 წლის 01 და 09 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები, დანართებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია, აღწეროს გეგმაში სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლაში (შემდგომში - სკოლა) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომები. ყურადღება გამახვილებულია თანამონაწილეობაზე: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება თანამონაწილეობის პრინციპების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული პირების ინტერესების დაცვას და მისცემს მათ სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას. სტრატეგიული დაგეგმვა როგორც თანამონაწილეობითი პროცესი უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას; სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას ორგანიზაცია იყენებს საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. ნებისმიერი გადაწყვეტილება ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს კერძოდ: სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებას; თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბებას; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნას; მშობელთა ჩართულობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას და სკოლის კომპიუტერიზაციას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და აღჭურვას; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებით. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია მიზნების შესაბამისი ამოცანებიც; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.**სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**
სკოლას აქვს 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**
სკოლას მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სტრატეგიული მიმართულებებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს დასახული პრიორიტეტების მიღწევა. სამოქმედო გეგმა მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი შეფასების ინდიკატორებს, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულების დასახელებებს, ამ აქტივობის განხორციელებისას ჩართულ სკოლის სხვა სტრუქტურული ერთეულის დასახელებას, დამდგარი შედეგის შეფასების წყაროს, აგრეთვე ამოცანის განხორციელების ვადებს. სამოქმედო გეგმა გათვლილია 1 წელზე და სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. გადახედვის შედეგად ფასდება წინა სემესტრის გეგმის შესრულება, ზუსტდება შემდეგი სემესტრის ამოცანებისა და აქტივობების ნუსხა, საჭიროების შემთხვევაში ემატება ახალი ამოცანები/აქტივობები.- აღნიშნულზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

მიმდინარე ეტაპზე სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის კუთხით მიმოხილვის პროცედურას წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რომელიც წარიმართება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით. ასევე სკოლის დირექტორთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა ის გარემოებები, რომ სკოლა ახორციელებს დაკვირვებას, ძირითადად, კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესსა და ცალკეული სეგმენტების საქმიანობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. <u>სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;</u>

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. <u>სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.</u>

სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის დასკვნებს ითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება პედაგოგების, კათედრებისა და დირექციის შეხვედრები, სადაც განიხილება დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება კონკრეტული პრობლემა და ისახება მისი გადაჭრის გზები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის შინაგანაწესში ვხვდებით სკოლაში მოქმედ სტრუქტურული ერთეულების გაწერილ ფუნქციებს. ასევე სკოლა ხელშეკრულებით არეგულირებს დასაქმებული პირების ფუნქციებს, რომელიც რეგულირდება საშტატო განრიგით. დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სპეცმასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში დასაქმებულია პირები, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს, მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. <u>პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;</u>

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია სქემატური სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს, მოსწავლეთა თვითმართველობას, მრჩეველთა საბჭოს) . სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2 სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

.სკოლა უზრუნველყო საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. <u>პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;</u>

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია ფიზიკისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. შეიქმნა კომისია, შემუშავდა საკონკურსო წესი, გაიწერა კრიტერიუმები გასაუბრებისთვის, რომელიც განსაზღვრავს არსებულ საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ უზრუნველყო იდენტიფიცირებული თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (17.10.2023-13.11.2023) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით იკვეთება ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების, პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა, მაგალითად, კათედრების მუშაობაში. აგრეთვე სკოლაში ვიზიტის დროს და ინტერვიუებითაც აღნიშნული დასტურდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორცილებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**
სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შესაბამისი ტრენინგებით. შეფასებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმაში იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**
სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, წარმოდგენილია დებულება, რომლის მიხედვით ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად სკოლის სტრატეგიული გეგმით გაცხადებულია რომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით: ითანამშრომლებს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, რომლებიც სკოლის პედაგოგებს გაუწევენ კვალიფიციურ დახმარებას ტრენინგებისა და სემინარების სახით. სკოლა პერიოდულად ჩაატარებს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს და გააკეთებს შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც მოხდება წარმატებული მასწავლებლების წახალისება; ხელს შეუწყობს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.**.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**
სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ საკლასო ოთახები კეთილმოუწყობელია და სარეაბილიტაციო/გასარემონტებელი. ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებზე, როცა ამის შესაძლებლობა არსებობს, ხდება ახალბედა მასწავლებლების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასებას, მათ შორის მოსწავლეებისგან უკუკავშირით სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის ამ ეტაპზე გათვალისწინებული დამატებითი სერვისები, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მემორანდუმი კოლეჯთან

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.<u>სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;</u>

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებლებთან ინდგეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზე. შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.**სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. ხშირად ტარდება ინკლუზიური განათლების ცნობიერების ამაღლების კამპანიები, შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- ფოტომასალა
- რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;

***4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ცეკვის წრე) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; ამ პირობების დაცვით სკოლაში გახსნილია ცეკვის წრე. შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, გაფორმებულია ხელშეკრულებები როგორც მომსახურების გამწევთან, ასევე მიმღებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სასკოლო ექსკურსიებზე დადის სკოლის ექიმი, ხოლო მძღოლს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაადგილებას, აქვს მართვის მოწმობა, ნარკოლოგიური ცნობა და ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის დოკუმენტაცია;
- ტრანსპორტის ტაბელის ფორმა;
- ცეკვის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

*დანართი №2*

**დაწყებითი საფეხური**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# დაწყებითი საფეხური

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას, ისინი იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხდება კათედრის წევრებს შორის უკუკავშირის მიცემა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიაზე მსჯელობა. მასწავლებლების თქმით, ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები, ასევე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს. საგაკვეთილო და კლასგარეშე/არაფორმალური კომპონენტების (აქტივობები, შეხვედრები) გამოყენებით კი სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ, მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. დასტურად სკოლის მიერ წარმოდგენილია კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის, გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრების, სამუშაო შეხვედრის ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს პრაქტიკაზე ,,კრიტიკული მეგობარი“. წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავლებები დაფუძნებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის საშუალებას სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მშობლების შეხედულებებსაც. აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მათთან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, შემუშავებული კურიკულუმების შესახებ, რაც მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. მაგალითად, წლის დასასრულს მე-4 კლასის მშობლებთან გაიმართა შეხვედრა, ისინი აქტიურად ერთვებიან სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო, სასკოლო გეგმის კალენდარი. ასევე, წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმი, სადაც ნაჩვენებია მეორე უცხოური ენის არჩევის პროცედურა. მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებობს ,,მშობელთა სათათბირო“. სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიუირებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მათი ძლიერი მხარეა და აქტივობები, კომპლექსური დავალებები დაიგეგმა სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. კათედრის ფარგლებში მასწავლებლები მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, აქტივობამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ან მიდგომამ გაამართლა და რომელმა არა, ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი შესრულებისათვის საჭირო აქტივობებს და რესურსებს. პედაგოგები, ასევე, თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს დაგეგმავენ, რომელ შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ და სხვა. მასწავლებლები იყენებენ OneDrive-ს საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. აქ მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა. მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შექმნაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება-პროექტები, საწრეო და საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალა) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. კომპლექსური დავალების იდეა შეიძლება იყოს შიდა სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია ან მსგავსი აქტივობა. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.
- კოლეგების ურთიერთდასწრების ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დოკუმენტაციის, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს მოიაზრებენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში/საფეხურის დონეზე. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.

პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე, იმ კონკრეტულ აქტივობებზე, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები - როგორც შუალედური სასწავლო მიზნები გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ პრიორიტეტულია კომპლექსური ბუნების დავალებები. მაგალითად, უცხო ენების მიმართულებით წარმოადგინეს კომპლექსური დავალება მესამე კლასში, ინგლისურ ენაზე, პრეზენტაციები: ,,მე როგორც სუპერ შესაძლებლობების მქონე ადამიანი'' და ,,აღდგომა საქართველოსა და ამერიკაში''. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოადგინეს კომპლექსური ბუნების დავალებები - „შექმენი ბუკლეტი ილუსტრაციებით, შენი ოჯახის ბინადარი ცხოველების/ფრინველების/ოთახის მცენარეების მოვლა-პატრონობის შესახებ"; „წარმოადგინეთ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში (თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა) ქცევის წესების ამსახველი პრეზენტაცია''; ბუკლეტის შექმნა ქართლის მეურნეობის დარგებზე და სხვა.
ასევე, ტექნოლოგიების მიმართულებით მე-5 კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების იდეაა: მოსწავლემ შექმნას ვიზუალური პროგრამირების გარემოში "Scratch" ცეკვის ანიმაცია, რომლის შესრულების შემდგომ პედაგოგი
მოსწავლეებს აწერინებს თვითშეფასების ბარათს, ასევე, მასწავლებელი წერს რეფლექსიას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** ზოგიერთი კომპლექსური დავალების (მაგ.: მე-2 კლასი) იდეის აღწერილობაში, არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული შესაქმნელი ციფრული პროდუქტის ფორმატი, შესაბამისად, სასურველია დაზუსტდეს ეს ფორმატი კურიკულუმის ჩარჩოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები. ასევე, ჩანს, რომ სწავლება მიმდინარეობს თემატური ბლოკების, თემების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ნაწილობრივ ქვეცნებებსაც. კომპლექსური დავალებები შეესაბამება შერჩეულ ასაკობრივ კატეგორიას, რაც გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა.
როგორც ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას.

მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად: შერჩეულია შემდეგი კომპლექსური დავალებები: მოთხრობის წინარე ეპიზოდის აღდგენა, შესწავლილ ტექსტზე დაყრდნობით იგავის დაწერა, პოსტერის შექმნა და ა.შ. ასევე, უცხოურ ენებში, ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. მაგალითად, მე-3 კლასში შესრულებული კომპლექსური დავალება - პრეზენტაცია „მე როგორც სუპერ შესაძლებლობების მქონე ადამიანი", ასევე მესამე კლასში შესრულებული დავალება „აღდგომა საქართველოსა და ამერიკაში", როლური თამაში სიტუაცია ზოომაღაზიაში. მე-6 კლასში მოცემულია მოსწავლეების მიერ შესრულებული გამოკითხვის შედეგები კონკრეტულ თემაზე. წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის რეფლექსიები შესრულებულ კომპლექსურ დავალებებზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა**: მეხუთე კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში წარმოდგენილია სავალდებულო თემა სვანეთი, რომელიც არის მე-6 კლასის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემა; მნიშვნელოვანია - მე-5 კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემებიდან ამოიღონ სვანეთი რომელიც როგორც სავალდებულო დამხმარე კონტექსტი უნდა დამუშავდეს მე-6 კლასში.

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, დოკუმენტურად სკოლამ წარმოადგინა ინდგეგმის ნიმუშები ადაპტირებული პროგრამებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები, სპეციალური მასწავლებლის შეფასებები. ასევე, დოკუმენტაციაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, მასწავლებლის ანგარიშის და სსსმ მოსწავლეთა მონიტორინგის ფორმები, სადაც ჩანს მათი მიღწევების და შესაძლებლობების, ასევე საჭიროებების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს, შესაბამისად გეგმავენ და ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების და ინკლუზიურის მნიშვნელობა და იციან მიდგომები და სტრატეგიები. სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელშიც ყველა მოსწავლეა ჩართული. სკოლაში პედაგოგები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან და ერთობლივად ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
**რჩევა:** სსსმ მოსწავლისათვის შედგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნებების ნაწილი საჭიროა იყოს ახალი სტანდარტით. (ინგლისური ენა მე-3 კლასი)

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

პედაგოგებს გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. მტკიცებულებების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები/რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში როგორც ზოგადი ასევე კონკრეტული შეფასების თითო ნიმუში). სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში და დოკუმენტში - მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა - მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. მაგალითად, დიაგნოსტიკური შეფასება, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, კომპლექსური დავალებები. ასევე, პედაგოგიური საბჭოს ოქმებში, კათედრის ოქმებში აღნიშნულია, რომ სკოლა ახდენს თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტირებას, რომელსაც ახლავს სამოქმედო გეგმა, მტკიცებულებებში წარმოდგენილია ინდ. გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასებები, სსსმ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. იკვეთება, რომ სკოლა ობიექტურად ახერხებს სსსმ მოსწავლეთა შეფასებას, ზრუნავს მათ განვითარებაზე. მასწავლებლებს შეუძლიათ ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე მოსწავლისათვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აუცილებლად მიმართული იქნება საფეხურის შედეგებზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სასურველია მათემატიკის საგანში, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ახალ სტანდარტზე დაყრდნობით. ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, სასურველია სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეიმუშაოს და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს შერჩეული კომპლექსური დავალებების როგორც კონკრეტული განმავითარებელი შეფასების, ასევე, კონკრეტული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

დაწყებითი საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინა სასწავლო წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც დასტურდება მტკიცებულებებით: კურიკულუმები, გადაწყვეტილების ოქმი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს წინა წლებში, იყო ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი თუ როგორ დაეგეგმათ მომდევნო წლის სასწავლო პროცესი. შედეგების და მიღწევების საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება თუ რომელი კომპლექსური ბუნების მქონდე დავალებებით აეგოთ მომდევნო წლის სასწავლო პროცესი. გასაუბრებისას გამოჩნდა თანამშრომლობითი კულტურა წევრებს შორის რომელიც დაფუძნებულია გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთშეთანხმებაზე. კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან, ასევე, მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს, იმას თუ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევისას რომელი აქტივობა უფრო დაეხმარა მათ და სხვა.
კათედრის წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სასკოლო პროექტში მათი ჩართულობა ხაზს უსვამს რამდენად მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- მატრიცები;
- სპეც. მასწავლებლის შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და შეფასებები;
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა;
- პროექტები და მათი რეფლექსიები
- თვითშეფასების კითხვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები
- კათედრების სამუშაო გეგმა;

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და საკითხს. მოცემული დავალებები კავშირშია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც უადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას და ემსახურება მის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს საგნების მიხედვით გაწერილი სხვადასხვა სახის, საინტერესო კომპლექსური დავალებები. მაგალითად, მათემატიკის მესამე კლასის კურიკულუმში შერჩეულ კომპლექსურ დავალება "ზღაპარი", რომლითაც ინტეგრირება იგეგმება სახელმწიფო ენასთან. მეხუთე კლასში: ,,მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი 10 ქვეყანა და ინტერნეტიზაცია" - ინტეგრირება ბუნებასთან. უცხოური ენების მიმართულებით შეიძლება გამოიყოს შემდეგი დავალებები: ინგლისური ენაში - მე-4 კლასი ,,შექმენი მოთხრობა შენს საყვარელ ცხოველზე", მე-5 კლასი მეგობრული წერილის შედგენა ,,მისწერე წერილი უცხოელ თანატოლს, სადაც ისაუბრებ შენს შესახებ, ინტერესებსა და საყვარელ საქმიანობაზე", მე-6 კლასი ,,შექმენი საინფორმაციო ბუკლეტი, სადაც ადამიანებს გააცნობ ჯანსაღი ცხოვრებისა და კვების ჩვევებს". რუსულ ენაში - მე-5 კლასი, ციფრული

რესურსის გამოყენებით ილუსტრაციის შექმნა ,,ჩემი საყვარელი წელიწადის დრო''. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში, მიმდინარე სასწავლო წელს მე-2-კლასში მუშაობენ: წელიწადის დროები - ,,რას გვიყვება შემოდგომა და ბუნებრივი მოვლენები", ,,მე, ჩემი ოჯახი და მეგობრები", ,,რას გვიყვება ხელოვნება" და სხვა. სკოლაში იმართება შეჯიბრებები, სხვადასხვა ღონისძიებები. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსში. მაგალითად: ჟურნალ ,,დილას" მიერ გამოცხადებული კომიქსების კონკურსში მოსწავლეებმა შექმნეს კომიქსი ქართული იგავ-არაკების თემაზე. მეორე ადგილზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებითა და სიმბოლური საჩუქრებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება სკოლაში არსებულ წინარე გამოცდილებას. ინტერვიუებისას პედაგოგთა რეფლექსია სასწავლო პროცესის შესახებ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ კათედრას მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ. მუშაობის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს. ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, მუშაობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. მაგალითად კომპლექსური დავალებები მე-6 კლასში , ინგლისური ენა ,,უყურე ანიმაციას The Willoughbyes, შეადარე შენი ოჯახის ყოფას, მოამზადე ანგარიში და წარუდგინე კლასს''. მე-2 კლასი ,,შეარჩიე შენი საყვარელი უცხოურენოვანი და ქართული ზღაპრების ან მულტფილმების გმირები. მოამზადე პოსტერი ინგლისურ ენაზე, გააფორმე ილუსტრაციებით და წარწერებით. წარმოუდგინე ნამუშევარი თანაკლასელებს ''.

კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანშიც. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ეტაპობრივად ნასწავლ მოძრაობებს მოჰყვება ახალი, უფრო რთულად შესასრულებელი მოძრაობები, რაც სხვადასხვა კოორდინაციული თუ ფიზიკური უნარის განვითარებას მოითხოვს. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას. წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებშიც ცხადყოფს სკოლის, კათედრის კონსტრუქტივიზმის თვალსაზრისით ხედვაზე. კერძოდ, კომპლექსური დავალებების იდეები ,,წარმოადგინეთ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში (თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა) ქცევის წესების ამსახველი პრეზენტაცია'', ,,მცირე მოთხრობის დაწერა მთის მაცხოვრებლების შესახებ'', ,,ფოტოკოლაჟის მომზადება, დაცული ტერიტორიების (ლაგოდეხის ნაკრძალი, რიწის ნაკრძალი) უნიკალობას წარმოაჩინე'' და სხვები, მოსწავლისათვის გასაგები, ხელშესახები ნიუანსებით არის ჩამოყალიბებული, ხოლო კურიკულუმში ასახული ურთიერთმიმართებები წარმოაჩენს კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვან გზას-ნაცნობიდან უცნობისაკენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების აქტივობებში, ასევე ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. ამის გარდა, სკოლაში წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. მაგალითად 1-ლი კლასი, ინგლისური ენა - ,,დახატე ერთი შინაური და ერთი გარეული ცხოველი, გაუკეთეთ განმარტებები, მოამზადეთ პოსტერი და წარუდგინე კლასს'', მე-4 კლასი ,,წარმოადგინე ვენის დიაგრამის გამოყენებით ლონდონისა და შენი მშობლიური ქალაქის შედარებები'' . პედაგოგებმა გასაუბრების დროს თქვეს რომ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას, რა გამოუვიდა, რა დაეხმარა დავალების შესრულებაში, რა გაუჭირდა, რას გააუმჯობესებს. აქედან გამომდინარე მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილების რეგულირებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშებში კარგად ჩანს დავალების განხორციელების ეტაპები, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლემ პროცესზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, შეძენილი ცოდნით კი ბოლო ეტაპზე განახორციელოს პროდუქტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებასა და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეულია ისეთი ტიპის დავალებები რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. როგორც თავად აღნიშნეს, დავალებები იმგვარადაა შედგენილი, რომ მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. მაგალითად, 1-ლი კლასი, ინგლისური ენა - ,,დახატე ერთი შინაური და ერთი გარეული ცხოველი, გაუკეთეთ განმარტებები, მოამზადეთ პოსტერი და წარუდგინე კლასს'', რუსულ ენაში - მე-5 კლასი, ციფრული რესურსის გამოყენებით ილუსტრაციის შექმნა ,,ჩემი საყვარელი წელიწადის დრო'' და სხვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სასურველია, მათემატიკაში, საფეხურზე ერთი ინტეგრირებული კომპლექსური დავალების შეთავაზება მაინც მოსწავლეებისათვის და შესაბამისი განმავითარებელი შეფასების შემუშავება.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები, თემატური ერთეულები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა და კოლეგებთან შეხვედრების ფოტო მასალა;
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები;
- გაკვეთილის გეგმები და რეფლექსიები;
- შეფასების რუბრიკები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების ფორმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებებს და აკონკრეტებს ქვეცნებებს, რომლებიც მიემართებიან საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისაკენ, უზრუნველყოფენ მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. მაგალითად, კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილია დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას.
ასევე, მაგალითად, მათემატიკის II კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** მათემატიკის საგანში სხვა კლასის შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისას სასურველია მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ მათემატიკის სტანდარტით (სადაც გაწერილია თემები კლასების მიხედვით), საკითხები/ქვესაკითხები თემის ფარგლებში დააჯგუფონ ძირითადი სახელმძღვანელოდან და ცნებების იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით უზრუნველყონ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების (სტანდარტში) გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ასევე, მესამე კლასის კურიკულუმში სასურველია ყურადღება გამახვილდეს ქვეცნებებზე, კერძოდ ქვეცნება "ლოგიკა". სასურველია ყურადღება გამახვილდეს რესურსების მრავალფეროვნებაზე.
**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სასკოლო პროექტები, საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები, სასწავლო რესურსები, საგნობრივი კურიკულუმი. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექსური დავალებების იდეები, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად, თემატურად შერჩეული ფილმების ჩვენებას, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას. პრეზენტაციების დროს მსმენელი აცნობიერებს მომხსენებლის პოზიციას, გამოხატავს თანაგანცდას. გარდა ამისა, მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი (დანართი პროექტები: წყლის რესურსი, დაბის გზამკვლევი, მეცნიერი ქალები, ანდერგრაუნდი, ინტელის პროექტი, პროექტი კიბერბულინგის შესახებ, ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი და სხვა). ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტების მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** მათემატიკის საგანში სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს როგორ შეესაბამება მოკლევადიანი/შუალედური სასწავლო მიზნები გრძელვადიან მიზანს.

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. სკოლა აქვს შეფასების სისტემა, რომელშიც ჩანს მიდგომა, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი ზოგადი და კონკრეტული შეფასების რუბრიკები, წარმოაჩენს ხედვას შეფასების თვალსაზრისით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გადაწყვეტილებების ოქმით დასტურდება სამომავლო განწყობა და გეგმები შეფასების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიც. სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს: კომენტარი, უკუკავშირი, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები და მათ შორის თემებთან მიმართებით კონკრეტული შეფასების რუბრიკები ნიმუშების სახით, როგორც განმავითარებელი 1-4 კლასებისათვის ისე განმსაზღვრელი 5-6 კლასებისათვის. ჩანს რომ შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, როგორც ზოგადი ისე კონკრეტული განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. აღნიშნულის შესახებ მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მათი მზაობა. პედაგოგებმა იციან მეთოდები როგორ შექმნან შეფასების რუბრიკები სწორად, რათა მოსწავლეებს მოტივაცია არ დაეკარგოთ და სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურის მისაღწევ შედეგზეც გავიდნენ ამავდროულად, სკოლა გადასულია ელექტრონული ჟურნალის მოხმარებაზე და ყველა მშობელს აქვს საშუალება მთელი სემესტრის განმავლობაში გაეცნოს შვილის ნიშნებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლამ კათედრების დონეზე წარმოადგინა შეფასების ის ფორმები და ხერხები, რომელსაც აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შედეგების გასაანალიზებლად და შემდგომში სწავლა-სწავლების პროგრესის უზრუნველსაყოფად. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს და სისტემატურად იხვეწება შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელი და შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს მომდევნო შუალედური სასწავლო მიზნის დასახვისას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტიც. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის, მოსწავლეთა ნამუშევრების, მათი აკადემიური მიღწევების, შემაჯამებელი ანალიზების, რეფლექსიების, კათედრის სამუშაო შეხვედრების დამადასტურებელი ოქმების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შესაბამისი ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებმა ისაუბრეს დოკუმენტაციის არსებობის მნიშვნელობაზე, რომელიც ინახება სკოლის ადმინისტრაციასთან და კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას, შენახვას კანონმდებლობით დადგენილი არა ნაკლებ სამი წლის ვადით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სკოლაში ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სკოლაში აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოება და სხვა. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით მოსწავლეები გადიან მეტად აქტუალურ თემებს. სკოლაში პრიორიტეტადაა ქცეული მედია წიგნიერება და მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა თითოეულ საკითხთან მიმართებაში. იმართება შეხვედრები

დაწყებითი კლასების მასწავლებლებისა და მშობლების, სადაც განიხილება მოსწავლის პროგრესი და საჭიროებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

მასწავლებლებთან გასაუბრებებით გამოიკვეთა, რომ მიიჩნევენ - სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირ პროპორციულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც ერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას. სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით. ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში, უზრუნველყოფილები არიან საჭირო რესურსებით, სასწავლო კომპიუტერებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს, ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები, ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება და ხორციელდება სასკოლო პროექტები. გასაუბრების დროს როგორც მასწავლებლებმა ახსენეს, სკოლაში, ასევე, დანერგილია ურთიერთდასწრების პრაქტიკა ,,კრიტიკული მეგობარი“, რომლის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. ისინი აძლევენ ერთმანეთს რეკომენდაციებს სხვადასხვა პრაქტიკასთან და გამოცდილებასთან დაკავშირებით და უზიარებენ უკუკავშირს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. სკოლისთვის პრიორიტეტულია ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. სკოლა მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავს სხვადასხვა აქტივობის

განხორციელებას, აღნიშნული კი პოზიტიური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. გარდა ამისა, გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. ისინი საუბრობდნენ ერთმანეთის მიღწევებისა და გამოცდილებების შესახებ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კლასის სადამრიგებლო საათი და სამოქმედო გეგმები;
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები.

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა და ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილსაც, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა და მისი სრულყოფილად ამოქმედება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუდან და დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები, ასევე, კათედრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ხარისხი მაღალია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ისინი მიიჩნევენ, რომ მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. მონიტორინგის შედეგებში ნათლად აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება სწავლა-სწავლებაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები. ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს, წინსვლისა და განვითარებისათვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შეფასების მასალები;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის განხორციელების რეფლექსია;
- ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე**.** გარდა ამისა, სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით: მოსწავლის დასწრების ფაქტორი, თემის ათვისების მაჩვენებელი. მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით, შეფასების მიზნიდან განისაზღვრება ის კონტექსტები და ფოკუსები, რაც სჭირდებათ მოცემულ კონტექსტში. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, დაბალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა. გარდა ამისა, პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, საჭიროებები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და სხვა. ამასთან, საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიხედვითაც დგინდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები, რაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც, კერძოდ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება, მოსწავლეზე დაკვირვება. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები. დაწყებით საფეხურზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მიკროსისტემიდან მეზოსისტემაში გადასული მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სხვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**
კათედრის წევრები მზაობას გამოთქვამენ სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება ასახონ მომავალი წლის კურიკულუმში. ისინი შეეცდებიან მიღებული გამოცდილება გამოიყენონ მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და საგნობრივი კურიკულუმის

დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. მასში გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, გასული წლის ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მთელი წლის განმავლობაში ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, რათა შეიმუშაონ იმ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. დოკუმენტაციის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და განახლდება ყოველწლიურად. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, განაზოგადებენ მას. ასევე, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე ადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. კათედრა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში გაითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, როგორც საკლასო ასევე საფეხურის დონეზე. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დანერგავენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ
- საგნობრივი კურიკულუმები

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

*დანართი №2*

საბაზო საფეხური

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

საბაზო საფეხური

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას, ისინი იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხდება კათედრის წევრებს შორის უკუკავშირის მიცემა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიაზე მსჯელობა. მასწავლებლების თქმით, ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები, ასევე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს. საგაკვეთილო და კლასგარეშე/არაფორმალური კომპონენტების (აქტივობები, შეხვედრები) გამოყენებით კი სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ, მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. დასტურად სკოლის მიერ წარმოდგენილია კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის, გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრების, სამუშაო შეხვედრის ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს პრაქტიკაზე ,,კრიტიკული მეგობარი“. წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავლებები  დაფუძნებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის საშუალებას სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მშობლების შეხედულებებსაც.  აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მათთან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, შემუშავებული კურიკულუმების შესახებ, რაც მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. სკოლა თანამშრომლობს ,,არაფორმალური განათლების მულტიმედიური სასწავლო ცენტრი ახალდაბაში“ - ორგანიზაციასთან სადაც სკოლის მოსწავლეები ინტერესების მიხედვით ირჩევენ სასერტიფიკატო კურსებს და მიღებულ ცოდნას სკოლაში უზიარებენ თანატოლებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით შემუშავებულია  სადამრიგებლო, სასკოლო გეგმის კალენდარიც. მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებობს ,,მშობელთა სათათბირო“. სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიუირებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მათი ძლიერი მხარეა და აქტივობები, კომპლექსური დავალებები დაიგეგმა სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. კათედრის ფარგლებში მასწავლებლები მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, აქტივობამ ან მიდგომამ  გაამართლა და რომელმა არა, ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი შესრულებისათვის  საჭირო აქტივობებს და რესურსებს. პედაგოგები, ასევე, თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, რა საკითხებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს დაგეგმავენ, რომელ შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ და სხვა. მასწავლებლები იყენებენ OneDrive-ს საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. აქ მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა. მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შექმნაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება-პროექტები, საწრეო და საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალა) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. კომპლექსური დავალების იდეა შეიძლება იყოს შიდა სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია ან მსგავსი აქტივობა. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- კოლეგების ურთიერთდასწრების, ურთიერთ დაკვირვების ოქმები, რეფლექსიები;
- მშობელთა კრების ოქმი.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დოკუმენტაციის, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს მოიაზრებენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში/საფეხურის დონეზე. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.

პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე, იმ კონკრეტულ აქტივობებზე, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები - როგორც შუალედური სასწავლო მიზნები გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ პრიორიტეტულია კომპლექსური ბუნების დავალებები. მაგალითად, უცხო ენების მიმართულებით წარმოადგინეს კომპლექსური დავალება მე-9 კლასში, ინგლისური ენა - ,,შეადგინე სტატია მოგზაურთა ჟურნალისათვის შენი და რომელიმე ინგლისურ ენოვანი ქვეყნის შესახებ''. მე-8 კლასი ,,მოამზადე პოსტერი თემაზე ,,შეწყვიტე ძალადობა''. რუსული ენა მე-8 კლასი - ციფრული რესურსების საშუალებით პრეზენტაციის მომზადება ,,ჩემი გატაცებები''. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოადგინეს კომპლექსური ბუნების დავალებები - ,,პრეზენტაციის მომზადება წყნარი ოკეანის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ'', ,,ბუკლეტის შექმნა რომსა და ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ'', ,,წარმოსახვითი ინტერვიუს ჩაწერა ნეოლითელ ადამიანთან'', ,,საგაზეთო სტატიის შექმნა'', ,,ბუნებრივი გარემოს დაცვა ვანდალიზმისა და ბრაკონიერობის შემთხვევებისგან'' და ა.შ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები. ასევე, ჩანს, რომ სწავლება მიმდინარეობს თემატური ბლოკების, თემების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ნაწილობრივ ქვეცნებებსაც. კომპლექსური დავალებები შეესაბამება შერჩეულ ასაკობრივ კატეგორიას, რაც გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა. როგორც ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს

კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას.
მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად: შერჩეულია შემდეგი კომპლექსური დავალებები:პიესის შექმნა, პერსონაჟის დღიურის ჩანაწერის გაკეთება, ზეპირი პრეზენტაცია, არგუმენტირებული ესეს დაწერა და ა.შ.
ასევე, უცხოურ ენებში, მუშავდება სამიზნე ცნებები შერჩეულია შემდეგი დავალებები: მაგალითად, მე-8 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება - სტატია ინგლისურ ენაზე ,,რომელიმე ცნობილი წყვილის ქორწილის შესახებ", ასევე, მე- 7 კლასში დავალება ინგლისურ ენაზე პრეზენტაციისა და პოსტერის სახით ეკოლოგიურ პრობლემებზე. რუსულ ენაზე კომპლექსური დავალება პოსტერი თემაზე ,,ჩემი ოცნების სკოლა". წარმოდგენილია მე-9 კლასში კომპლექსური დავალების მატრიცა, პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე, სათავგადასავლო შემეცნებით ტურზე საქართველოს ნაკრძალებში. მე-8 კლასში ,,მე მაქვს პრობლემა ". სკოლის მიერ წარმოდგენილია ნამუშევრები, შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის რეფლექსიები, შეფასებები, მოსწავლეთა ნამუშევრები და ბარათები შესრულებულ კომპლექსურ დავალებებზე.
აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმის განვითარებისათვის და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებზე გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ესმით კურიკულუმის აგების პრინციპი, დანერგილ აქვს კომპლექსური დავალებები, მაგრამ კურიკულუმები მნიშვნელოვანია იყოს გამართული და სრულად ასახავდეს კლასების მიხედვით, სწავლა-სწავლება სავალდებულო თემების ფარგლებში რომელი შერჩეული საკითხებით მიმდინარეობს, რაც წარმოაჩენს კურიკულუმები რამდენად და როგორ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა. საბოლოოდ, **უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სასურველია მე-7 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში გამოჩნდეს სავალდებულო კონტექსტის - ანტარქტიდის ფარგლებში, როგორ მუშავდება გრძელვადიანი მიზნები, შედეგები. ასევე, სასურველია მე-8 კლასის სავალდებულო კონტექსტი - სამხრეთი ამერიკის, ევროპის და მე-9 კლასის პირველ სავალდებულო თემის და აღმოსავლეთ საქართველოს სავალდებულო კონტექსტის მიმართულებითაც გამოჩნდეს როგორ მუშავდება გრძელვადიანი მიზნები, შედეგები. ასევე, კურიკულუმებში, სავალდებულო თემებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მაგ.: მე-7 კლასის კურიკულუმში - პირველ სავალდებულო თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები : "დრო", "ისტორიული მოვლენა, პროცესი"); მერვე კლასის კურიკულუმში გაითვალისწინონ სავალდებულო თემა "კავკასია".

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, დოკუმენტურად სკოლამ წარმოადგინა ინდგეგმის ნიმუშები ადაპტირებული პროგრამებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები, სპეციალური მასწავლებლის შეფასებები. ასევე, დოკუმენტაციაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის ანგარიშის და სსსმ მოსწავლეთა მონიტორინგის ფორმები, სადაც ჩანს მათი მიღწევების და შესაძლებლობების, ასევე საჭიროებების ანალიზი.
კათედრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს, შესაბამისად გეგმავენ და ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების და ინკლუზიურის მნიშვნელობა და იციან მიდგომები და სტრატეგიები. სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელშიც ყველა მოსწავლეა ჩართული. სკოლაში პედაგოგები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან და ერთობლივად ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა. მაგალითად, სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოქალაქეობის მაგალითზე მე-7 კლასი, რომელიც მკაფიოდ ასახავს მოსწავლის მიღწევებს და ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს - „ბორჩალოს სოფლის ამბავი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად", „სახლის პირობებში ნარჩენების მართვა". **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

პედაგოგებს გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. მტკიცებულებების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები/რუბრიკები (სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში როგორც ზოგადი ასევე კონკრეტული შეფასების თითო ნიმუში). სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში და დოკუმენტში - მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა - მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. მაგალითად, დიაგნოსტიკური შეფასება, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, კომპლექსური დავალებები. ასევე, პედაგოგიური საბჭოს ოქმებში, კათედრის ოქმებში აღნიშნულია, რომ სკოლა ახდენს თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტირებას, რომელსაც ახლავს სამოქმედო გეგმა, მტკიცებულებებში წარმოდგენილია ინდ. გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასებები, სსსმ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. იკვეთება, რომ სკოლა ობიექტურად ახერხებს სსსმ მოსწავლეთა შეფასებას, ზრუნავს მათ განვითარებაზე. მასწავლებლებს შეუძლიათ ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე მოსწავლისათვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აუცილებლად მიმართული იქნება საფეხურის შედეგებზე. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ საბაზო საფეხურისათვის წარმოადგინა, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები: გაკვეთილზე ჩართულობის, წყვილში მუშაობის, ასევე კონკრეტული შინაარსის შემაჯამებელი სამუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალების ბარათი ისტორიაში ნეოლითის ხანა, რომელსაც ახლავს განმავითარებელი შეფასების, რუბრიკები, შესაბამის ფორმატში, ნათლად ჩანს, სამიზნე ცნების რომელ მკვიდრ წარმოდგენაზე ორიენტირებით არის ჩამოყალიბებული მასწავლებლის მოლოდინი და კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან (წყარო, სივრცე, დრო), შუალედური მიზნის განხორციელებისათვის შერჩეულ საკითხთან. ამასთან, წარმოდგენილ

დოკუმენტებში იყო მე-7 კლასის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები - ბორჩალოს სოფლის ამბავი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, რომელიც ქოუჩინგის პროცესშია შექმნილი და მნიშვნელოვანი ამ გამოცდილების გამოყენება სხვა კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკების შექმნისას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** საგანი მოქალაქეობის ფარგლებში სასურველია სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეიმუშაოს და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს შერჩეული კომპლექსური დავალებების როგორც კონკრეტული განმავითარებელი შეფასების, ასევე, კონკრეტული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

საბაზო საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინა სასწავლო წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც დასტურდება მტკიცებულებებით: კურიკულუმები, გადაწყვეტილების ოქმი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს წინა წლებში, იყო ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი თუ როგორ დაეგეგმათ მომდევნო წლის სასწავლო პროცესი. შედეგების და მიღწევების საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება თუ რომელი კომპლექსური ბუნების მქონდე დავალებებით აეგოთ მომდევნო წლის სასწავლო პროცესი. გასაუბრებისას გამოჩნდა თანამშრომლობითი კულტურა წევრებს შორის რომელიც დაფუძნებულია გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთშეთანხმებაზე. კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან, ასევე, მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს, იმას თუ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევისას რომელი აქტივობა უფრო დაეხმარა მათ და სხვა.
კათედრის წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სასკოლო პროექტში მათი ჩართულობა ხაზს უსვამს რამდენად მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები/მატრიცები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- განხორციელებული პროექტები;
- პროექტების ნიმუშები და რეფლექსიები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და საკითხს. მოცემული დავალებები კავშირშია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც უადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას და ემსახურება მის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს საგნების მიხედვით გაწერილი სხვადასხვა სახის, საინტერესო კომპლექსური დავალებები. მაგალითად, ინგლისური ენა მე-7 კლასი ,,შენი საყვარელი რეკლამა''. მე-8 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება - სტატია ინგლისურ ენაზე ,,რომელიმე ცნობილი წყვილის ქორწილის შესახებ'' , რუსული ენა მე- 8 კლასი ციფრული რესურსების საშუალებით პრეზენტაციის მომზადება ,, ჩემი გატაცებები'', ,, ჩემი ოცნების სკოლა''. მოცემული დავალებები

კავშირშია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც უადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას და ემსახურება მის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. გარდა აღნიშნულისა, სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ლაბირინთი“, წარმოდგენილი იყო კლუბის სამოქმედო გეგმა და განხორციელებული ღონისძიებები, პროექტები. “სუფთა გარემოზე ზრუნვა ყველა ადამიანის ვალია”; “მეცნიერი ქალები”; “ქალთა შორის ძალადობის საერთაშორისო დღესთან ესეების კონკურსი”; “გავუფრთხილდეთ წყალს” და ა.შ. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუნდების სიგელებს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება სკოლაში არსებულ წინარე გამოცდილებას. ინტერვიუებისას პედაგოგთა რეფლექსია სასწავლო პროცესის შესახებ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ კათედრას მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ. მუშაობის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს. ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, მუშაობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. მაგალითად, კომპლექსური დავალება მე-9 კლასში, პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე, სათავგადასავლო შემეცნებით ტური საქართველოს ნაკრძალებში. პედაგოგებმა ისაუბრეს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, წარმოდგენილია მე-9 კლასში პროექტი სახელწოდებით ,,Cultural heritages in Georgia and Britain “. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანშიც. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები ”ბუკლეტის შექმნა რომსა და ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ”; “წარმოსახვითი ინტერვიუს ჩაწერა ნეოლითელ ადამიანთან”; “შექმენი „თვითმხილველი ჯარისკაცის ჩანაწერები“ სამი მნიშვნელოვანი ამბავის ომის დასაწყისის, მიმდინარებისა და დასასრულის მიხედვით, რომელიც ასახავს შენს ისტორიას/ამბავს და სხვა. დავალებები მოსწავლისათვის გასაგები, ხელშესახები ნიუანსებით არის ჩამოყალიბებული, ხოლო კურიკულუმში ასახული ურთიერთმიმართებები წარმოაჩენს კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვან გზას-ნაცნობიდან უცნობისაკენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

კომპლექსური დავალებების აქტივობებში, ასევე ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. საბაზო საფეხურის კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს

საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. ამის გარდა, სკოლაში წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. ჩანს თუ როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელი მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვას და მონიტორინგს. მაგალითად კომპლექსური დავალება მე-9 კლასში, ,,შეადგინე სტატია მოგზაურთა ჟურნალისათვის შენი და რომელიმე ინგლისურ ენოვანი ქვეყნის შესახებ''. მე-8 კლასი ,,მოამზადე პოსტერი თემაზე ,,შეწყვიტე ძალადობა''. რუსულ ენაში - მე- 8 კლასი, ციფრული რესურსების საშუალებით პრეზენტაციის მომზადება ,, ჩემი გატაცებები''. პედაგოგებმა გასაუბრების დროს თქვეს რომ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას, რა გამოუვიდა, რა დაეხმარა დავალების შესრულებაში, რა გაუჭირდა, რას გააუმჯობესებს. აქედან გამომდინარე მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილების რეგულირებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. საბაზო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშებში კარგად ჩანს დავალების განხორციელების ეტაპები, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლემ პროცესზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, შეძენილი ცოდნით კი ბოლო ეტაპზე განახორციელოს პროდუქტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებასა და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეულია ისეთი ტიპის დავალებები რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. როგორც თავად აღნიშნეს, დავალებები იმგვარადაა შედგენილი, რომ მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითად, მერვე კლასში განხორციელებულია საკლასო პროექტი „ჩვენი დაბის გზამკვლევი“, რომელშიც მოსწავლეები გაეცნენ დაბის ღირსშესანიშნაობებს და მათ მდებარეობას, შეძლეს ორი კონკრეტულ ობიექტს შორის მისასვლელი სხვადასხვა გზის დადგენა, გაზომვა და მათ შორის უმოკლესი მანძილის დადგენა. დაახარისხეს დაბის ღირსშესანიშნაობების შესახებ მოძიებული ინფორმაცია, შექმნეს საინფორმაციო ბუკლეტი და გაუზიარეს თანატოლებსა და თემის წარმომადგენლებს. აღნიშნული პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებს დასჭირდათ საგანთშორისი კავშირების გამოყენება, კერძოდ ისტორია (დაბის ღირსშესანიშნაობები), გეოგრაფია (მდინარე მტკვარი), მათემატიკა (მანძილი, გაზომვა). პროექტში შექმნილი გზამკვლევი შეიძლება გამოიყენოს ტურისტმა დაბის დათვალიერების დროს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები, მატრიცები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- პროექტის განხორციელების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შეფასების მონიტორინგის ფორმები;
- პროექტები ნიმუშები და რეფლექსიები და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შეფასებების რუბრიკები, ზოგადი და კონკრეტული;
- კათედრის ოქმები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების ფორმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებებს და აკონკრეტებს ქვეცნებებს, რომლებიც მიემართებიან საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისაკენ, უზრუნველყოფენ მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. მაგალითად, კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილია საბაზო საფეხურის უცხოური ენების სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას.
მაგალითად, წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები სასწავლო პროექტი (ანდერგრაუნდი, წიგნიერი, გარემოსდაცვითი განათლება, მეცნიერი ქალები), ასევე, ინტეგრირებულ გაკვეთილებში (სპორტი, მუსიკა ხელოვნება) მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება, პროექტები და მათი რეფლექსიები. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სასკოლო პროექტები, საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები, სასწავლო რესურსები, საგნობრივი კურიკულუმი. საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექსური დავალებების იდეები, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამის გათვალისწინებით მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად, თემატურად შერჩეული ფილმების ჩვენებას, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას. პრეზენტაციების დროს მსმენელი აცნობიერებს მომხსენებლის პოზიციას, გამოხატავს თანაგანცდას. გარდა ამისა, მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი და კომპლექსური დავალება. მაგალითად: მერვე

კლასის კურიკულუმში შერჩეულია კომპლექსური დავალება საოჯახო ბიზნესის აწყობა, რომელმაც შეიძლება მოსწავლეს ბევრ კონტექსტში გააზრებინოს თემა და საგნის სწავლების მნიშვნელობა. ასევე "გასართობი პარკის დაგეგმარება", რომლის საბოლოო პროდუქტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით, მაკეტის სახით ან პოსტერით. მოსწავლეები ჩართულია ინტელის პროექტის განხორციელების პროცესში, ასევე პროექტში "გლობალური დათბობა", რომელიც მოსწავლეთა მსოფლმხედველობასაც აფართოებს და ამდიდრებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. სკოლა აქვს შეფასების სისტემა, რომელშიც ჩანს მიდგომა, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი ზოგადი და კონკრეტული შეფასების რუბრიკები, წარმოაჩენს ხედვას შეფასების თვალსაზრისით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გადაწყვეტილებების ოქმით დასტურდება სამომავლო განწყობა და გეგმები შეფასების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიც. სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს: კომენტარი, უკუკავშირი, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები და მათ შორის თემებთან მიმართებით კონკრეტული შეფასების რუბრიკები ნიმუშების სახით, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. ჩანს რომ შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, როგორც ზოგადი ისე კონკრეტული განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. აღნიშნულის შესახებ მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მათი მზაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებმა იციან მეთოდები როგორ შექმნან შეფასების რუბრიკები სწორად, რათა მოსწავლეებს მოტივაცია არ დაეკარგოთ და სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურის მისაღწევ შედეგზეც გავიდნენ ამავდროულად, სკოლა გადასულია ელექტრონული ჟურნალის მოხმარებაზე და ყველა მშობელს აქვს საშუალება მთელი სემესტრის განმავლობაში გაეცნოს შვილის ნიშნებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლამ კათედრების დონეზე წარმოადგინა შეფასების ის ფორმები და ხერხები, რომელსაც აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შედეგების გასაანალიზებლად და შემდგომში სწავლა-სწავლების პროგრესის უზრუნველსაყოფად. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს და სისტემატურად იხვეწება შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელი და შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს მომდევნო შუალედური სასწავლო მიზნის დასახვისას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტიც. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის, მოსწავლეთა ნამუშევრების, მათი აკადემიური მიღწევების, შემაჯამებელი ანალიზების, რეფლექსიების, კათედრის სამუშაო შეხვედრების დამადასტურებელი ოქმების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ასევე, ხარისხის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის სისტემა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შესაბამისი ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებმა ისაუბრეს დოკუმენტაციის არსებობის მნიშვნელობაზე, რომელიც ინახება სკოლის ადმინისტრაციასთან და კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას, შენახვას კანონმდებლობით დადგენილი არა ნაკლებ სამი წლის ვადით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო რესურსები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სკოლაში ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სკოლაში აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოება და სხვა. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით მოსწავლეები გადიან მეტად აქტუალურ თემებს. იმართება შეხვედრები საბაზო კლასების მასწავლებლებისა და მშობლების, სადაც განიხილება მოსწავლის პროგრესი და საჭიროებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან გასაუბრებებით გამოიკვეთა, რომ მიიჩნევენ - სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირ პროპორციულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც ერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას. სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. საბაზო საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით. ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში, უზრუნველყოფილები არიან საჭირო რესურსებით, სასწავლო კომპიუტერებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს, ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები, ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება და ხორციელდება სასკოლო პროექტები. გასაუბრების დროს როგორც მასწავლებლებმა ახსენეს, სკოლაში, ასევე, დანერგილია ურთიერთდასწრების პრაქტიკა ,,კრიტიკული მეგობარი“, რომლის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. ისინი აძლევენ ერთმანეთს რეკომენდაციებს სხვადასხვა პრაქტიკასთან და გამოცდილებასთან დაკავშირებით და უზიარებენ უკუკავშირს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. სკოლისთვის პრიორიტეტულია ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. სკოლა მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, აღნიშნული კი პოზიტიური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. გარდა ამისა, გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. ისინი საუბრობდნენ ერთმანეთის მიღწევებისა და გამოცდილებების შესახებ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კლასის სადამრიგებლო საათი და სამოქმედო გეგმები;
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები;
- სადამრიგებლო საათის ოქმი;
- შინაგანაწესი;
- სკოლის მისია, ღირებულებები;
- მშობელთა კრების ოქმები

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა და ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილსაც, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა და მისი სრულყოფილად ამოქმედება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუდან და დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები, ასევე, კათედრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ხარისხი მაღალია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ისინი მიიჩნევენ, რომ მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. მონიტორინგის შედეგებში ნათლად აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება სწავლა-სწავლებაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები. ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს, წინსვლისა და განვითარებისათვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების მასალები;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის განხორციელების რეფლექსია;
- ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით: მოსწავლის დასწრების ფაქტორი, თემის ათვისების მაჩვენებელი. მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით, შეფასების მიზნიდან განისაზღვრება ის კონტექსტები და ფოკუსები, რაც სჭირდებათ მოცემულ კონტექსტში. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, დაბალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა. გარდა ამისა, პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, საჭიროებები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და სხვა. ამასთან, საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიხედვითაც დგინდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები, რაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც, კერძოდ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება, მოსწავლეზე დაკვირვება. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები. საბაზო საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის

თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მიკროსისტემიდან მეზოსისტემაში გადასული მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სხვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**
კათედრის წევრები მზაობას გამოთქვამენ სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება ასახონ მომავალი წლის კურიკულუმში. ისინი შეეცდებიან მიღებული გამოცდილება გამოიყენონ მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და საგნობრივი კურიკულუმის

დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. მასში გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, გასული წლის ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მთელი წლის განმავლობაში ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, რათა შეიმუშაონ იმ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. დოკუმენტაციის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და განახლდება ყოველწლიურად. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, განაზოგადებენ მას. ასევე, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე ადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. კათედრა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში გაითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, როგორც საკლასო ასევე საფეხურის დონეზე. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დანერგავენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ
- საგნობრივი კურიკულუმები

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

*დანართი №2*

**საშუალო საფეხური**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

საშუალო საფეხური

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული

მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას, ისინი იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ხდება კათედრის წევრებს შორის უკუკავშირის მიცემა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიაზე მსჯელობა. მასწავლებლების თქმით, ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები, ასევე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს. საგაკვეთილო და კლასგარეშე/არაფორმალური კომპონენტების (აქტივობები, შეხვედრები) გამოყენებით კი სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ, მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. დასტურად სკოლის მიერ წარმოდგენილია კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის, გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრების, სამუშაო შეხვედრის ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე გასაუბრებისას პედაგოგებმა ისაუბრეს პრაქტიკაზე ,,კრიტიკული მეგობარი". წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავლებები  დაფუძნებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის საშუალებას სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მშობლების შეხედულებებსაც.  აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მათთან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, შემუშავებული კურიკულუმების შესახებ, რაც მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. სკოლა თანამშრომლობს ,,არაფორმალური განათლების მულტიმედიური სასწავლო ცენტრი ახალდაბაში" - ორგანიზაციასთან სადაც სკოლის მოსწავლეები ინტერესების მიხედვით ირჩევენ სასერტიფიკატო კურსებს და მიღებულ ცოდნას სკოლაში უზიარებენ თანატოლებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიზნით შემუშავებულია  სადამრიგებლო, სასკოლო გეგმის კალენდარიც. მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებობს ,,მშობელთა სათათბირო". სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიუირებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მათი ძლიერი მხარეა და აქტივობები, კომპლექსური დავალებები დაიგეგმა სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. კათედრის ფარგლებში მასწავლებლები მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, აქტივობამ ან მიდგომამ  გაამართლა და რომელმა არა, ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი შესრულებისათვის  საჭირო აქტივობებს და რესურსებს. პედაგოგები, ასევე, თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, რა საკითხებს და

ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს დაგეგმავენ, რომელ შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ და სხვა. მასწავლებლები იყენებენ OneDrive-ს საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. აქ მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა. მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შექმნაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება-პროექტები, საწრეო და საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალა) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. კომპლექსური დავალების იდეა შეიძლება იყოს შიდა სასკოლო ფესტივალი, პრეზენტაცია ან მსგავსი აქტივობა. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- კოლეგების ურთიერთდასწრების, ურთიერთ დაკვირვების ოქმები, რეფლექსიები;
- მშობელთა კრების ოქმი.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დოკუმენტაციის, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს მოიაზრებენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში/საფეხურის დონეზე. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.

პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე, იმ კონკრეტულ აქტივობებზე, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები - როგორც შუალედური სასწავლო მიზნები გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ პრიორიტეტულია კომპლექსური ბუნების დავალებები. მაგალითად, კომპლექსური დავალება მე-10 კლასში, ინგლისური ენა - ,,დაწერე ესე საკლასო ოთახში მობილური ტელეფონის გამოყენების ტენდენციის შესახებ'', მე-11 კლასი რუსული ენა ,, ადამიანები ცვლიან სამყაროს, აირჩიე ცნობილი პოლიტიკოსი და დაწერე მის შესახებ''. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოადგინეს კომპლექსური ბუნების დავალებები - ,,სტატიის დაწერა - ესპანური კორტესი'', ,,სამეფო კარის მოხელის ანგარიში - წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები'', ,,სოციალური რეკლამის მომზადება თემაზე ,,მოქალაქეთა მონაწილეობის იურიდიული მექანიზმები" და ა.შ. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, მაგალითად: მუსიკა მე-11 კლასში ახორციელებს თემაზე: სტუმრად ოპერის თეატრში და ქართული ანდეგრაუნდი, ხელოვნებაში: კულტურული მემკვიდრეობა და ხელოვნება როგორც გამოსახვის საშუალება/ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, ასევე განხორციელებული პროექტები: (ანდერგრაუნდი, მეცნიერი ქალები, წყლის რესურსი, წიგნიერი) და სხვა, რასაც თან ახლავს მასწავლებლის რეფლექსია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლას მიეცა რჩევა:** საშუალო საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე- 12 კლასის კურიკულუმი დაიგეგმოს სახელმძღვანელოს მიხედვით, სხვადასხვა თემის ფარგლებში, ქრონოლოგიის პრინციპზე დაყრდნობით შეარჩიონ ძირითადი და დამატებითი ტექსტები.

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები. ასევე, ჩანს, რომ სწავლება მიმდინარეობს თემატური ბლოკების, თემების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ნაწილობრივ ქვეცნებებსაც. კომპლექსური დავალებები შეესაბამება შერჩეულ ასაკობრივ კატეგორიას, რაც გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა. როგორც ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას.
მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე-10 კლასში პირადი მოსაზრების გამომხატველი და ანალიტიკური ესეები, მე-11 კლასში შემოთავაზებული აქვთ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები.ასევე, უცხოურ ენებში, მუშავდება სამიზნე ცნებები შერჩეულია შემდეგი დავალებები, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას. მაგალითად, მე-11 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება, ინგლისურ ენაზე ,,მოამზადე პრეზენტაცია ბრიტანული და ქართული სიმღერის შესახებ". მე-11 კლასი - რუსულ ენაზე კომპლექსური დავალება „პოსტერი ეკოლოგიურ პრობლემების შესახებ". საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებზე გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ესმის კურიკულუმის აგების პრინციპი, დანერგილ აქვს კომპლექსური დავალებები, მაგრამ კურიკულუმები მნიშვნელოვანია იყოს გამართული და სრულად ასახავდეს კლასების მიხედვით, სწავლა-სწავლება სავალდებულო თემების ფარგლებში რომელი შერჩეული საკითხებით მიმდინარებს, რაც წარმოაჩენს კურიკულუმები რამდენად და როგორ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა. საბოლოოდ, **უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმში მეორე სავალდებულო თემაში - ანტიკური ხანა არ მუშავდება სამიზნე ცნებები: "დრო", "ისტორიული წყარო"; საქართველოს ისტორიის კურიკულუმში მეორე სავალდებულო თემაში - საქართველო ანტიკურ ხანაში არ არის სამიზნე ცნებები: "ისტორიული წყარო", "საზოგადოება", შესაბამისად ვერ იდენტიფიცირდება სამიზნე ცნების დამუშავება. მე-11 კლასი - ისტორიის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი მეორე სავალდებულო თემა: „გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო."

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, დოკუმენტურად სკოლამ წარმოადგინა ინდგეგმის ნიმუშები ადაპტირებული პროგრამებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმები, სპეციალური მასწავლებლის შეფასებები. ასევე, დოკუმენტაციაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის ანგარიშის და სსსმ მოსწავლეთა მონიტორინგის ფორმები, სადაც ჩანს მათი მიღწევების და შესაძლებლობების, ასევე საჭიროებების ანალიზი.
კათედრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს, შესაბამისად გეგმავენ და ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების და ინკლუზიურის მნიშვნელობა და იციან მიდგომები და სტრატეგიები. სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელშიც ყველა მოსწავლეა ჩართული. სკოლაში პედაგოგები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან და ერთობლივად ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა. მაგალითად, სპორტის საგანში მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი.

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

პედაგოგებს გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში და დოკუმენტში - მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა - ჩამოყალიბებულია მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. მაგალითად, დიაგნოსტიკური შეფასება, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, კომპლექსური დავალებები. ასევე, პედაგოგიური საბჭოს ოქმებში, კათედრის ოქმებში აღნიშნულია, რომ სკოლა ახდენს თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტირებას, რომელსაც ახლავს სამოქმედო გეგმა, მტკიცებულებებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასებები. იკვეთება, რომ სკოლა ობიექტურად ახერხებს მოსწავლეთა შეფასებას, ზრუნავს მათ განვითარებაზე. მასწავლებლებს შეუძლიათ ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე მოსწავლისათვის შექმნან განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აუცილებლად მიმართული იქნება საფეხურის შედეგებზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, სასურველია სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეიმუშაოს და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს შერჩეული კომპლექსური დავალებების როგორც კონკრეტული განმავითარებელი შეფასების, ასევე, კონკრეტული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინა სასწავლო წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, რაც დასტურდება მტკიცებულებებით: კურიკულუმები, გადაწყვეტილების ოქმი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებები, რომლებიც განახორციელეს წინა წლებში, იყო ერთ-ერთი ძირითადი ორიენტირი თუ როგორ დაეგეგმათ მომდევნო წლის სასწავლო პროცესი. შედეგების და მიღწევების საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება თუ რომელი კომპლექსური ბუნების მქონდე დავალებებით აეგოთ მომდევნო წლის სასწავლო პროცესი. გასაუბრებისას გამოჩნდა თანამშრომლობითი კულტურა წევრებს შორის რომელიც დაფუძნებულია გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთშეთანხმებაზე. კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან, ასევე, მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს, იმას თუ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევისას რომელი აქტივობა უფრო დაეხმარა მათ და სხვა.
კათედრის წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში, სასკოლო პროექტში მათი ჩართულობა ხაზს უსვამს რამდენად მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმები;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები/მატრიცები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- განხორციელებული პროექტები;
- პროექტების ნიმუშები და რეფლექსიები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და საკითხს. მოცემული დავალებები კავშირშია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც უადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას და ემსახურება მის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს საგნების მიხედვით გაწერილი სხვადასხვა სახის, საინტერესო კომპლექსური დავალებები. მაგალითად, მე-11 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება, ინგლისურ ენაზე ,,მოამზადე პრეზენტაცია ბრიტანული და ქართული სიმღერის შესახებ''. მე-11 კლასი - რუსულ ენაზე კომპლექსური დავალება ,,პოსტერი ეკოლოგიურ პრობლემების შესახებ". სკოლაში იმართება სასკოლო ფესტივალები, სახალისო შეჯიბრები და მსგავსი ტიპის აქტივობები ზრდის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს სპორტული კუთხეც, სადაც სასკოლო ფესტივალებში გამარჯვებული ბავშვებისა თუ გუნდების სიგელებს, თასებს ინახავენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დადებითად მოქმედებს ბავშვების მოტივაციაზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები ეფუძნება სკოლაში არსებულ წინარე გამოცდილებას. ინტერვიუებისას პედაგოგთა რეფლექსია სასწავლო პროცესის შესახებ საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ კათედრას მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს. ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, მუშაობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სკოლაში სამიზნე ცნებები მუშავდება მოსწავლისთვის ნაცნობ თემატურ კონტექსტებში, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, მოსწავლისთვის შეთავაზებული ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას, მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას. ნაცნობ თემატიკაზე დაშენებული ახალი ინფორმაცია კი ხელს უწყობს ახალი ცოდნის შეძენასა და შემდგომში გამოყენებას. მაგალითად, მე-11 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალება, ინგლისურ ენაზე ,, მოამზადე პრეზენტაცია ბრიტანული და ქართული სიმღერის შესახებ". მე-11 კლასი - რუსულ ენაზე კომპლექსური დავალება „პოსტერი ეკოლოგიურ პრობლემების შესახებ." სკოლა, ასევე, თანამშრომლობს მშვიდობის კორპუსის მოხალისეებთან. თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა გაკვეთილები ინგლისურ ენაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დისტანციურად, პროექტის შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია შედეგები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და ცოდნის კონსტრუირების მრავალმხრივ გზას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანშიც. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დავალებები მოსწავლისათვის გასაგები, ხელშესახები ნიუანსებით არის ჩამოყალიბებული, ხოლო კურიკულუმში ასახული ურთიერთმიმართებები წარმოაჩენს კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვან გზას-ნაცნობიდან უცნობისაკენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

კომპლექსური დავალებების აქტივობებში, ასევე ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე საკუთარი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. საშუალო საფეხურის კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. ამის გარდა, სკოლაში წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. ჩანს თუ როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელი მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვას და მონიტორინგს.
კურიკულუმებში ჩანს, რომ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება დაეუფლონ სწავლის სწავლას, რადგან შემოქმედებითი პროდუქტები (ვიდეო კოლაჟი, ესსე, ბუკლეტი, თხზულება, სტატია და ა.შ.), რომლებსაც მოსწავლეები შექმნიან დავალებაზე მუშაობის პროცესში, საშუალებას მისცემთ არა მარტო განავითარონ დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიები, ასევე, შესაძლებლობა ექნებათ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისას ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მიგნებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. საშუალო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ნიმუშებში კარგად ჩანს დავალების განხორციელების ეტაპები, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლემ პროცესზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, შეძენილი ცოდნით კი ბოლო ეტაპზე განახორციელოს პროდუქტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებასა და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეულია ისეთი ტიპის დავალებები რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით. როგორც თავად აღნიშნეს, დავალებები იმგვარადაა შედგენილი, რომ მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება.
მაგალითად, კომპლექსური დავალება მე-10 კლასში, ინგლისური ენა - ,,დაწერე ესე საკლასო ოთახში მობილური ტელეფონის გამოყენების ტენდენციის შესახებ'', მე-11 კლასი , რუსული ენა, ,,ადამიანები ცვლიან სამყაროს, აირჩიე ცნობილი პოლიტიკოსი და დაწერე მის შესახებ''. გარდა აღნიშნულისა, სკოლის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საგნის პროექტში, (წიგნიერება, წყლის რესურსები-გარემოს დაცვა, მეცნიერი ქალები, ანდერგრაუნდი, დაბის გზამკვლევი, კულტურული მემკვიდრეობა და სხვა) ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალფეროვანი აქტივობებით, საგანთა კავშირებით. ასევე, მათი ცხოვრებისეული კონტექსტებიდან გამომდინარე ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- სტრატეგიული გეგმა
- პროექტები და რეფლექსიები
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- სასწავლო რესურსები და მასალები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- პედაგოგებთან ინტერვიუ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების ფორმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებებს და აკონკრეტებს ქვეცნებებს, რომლებიც მიემართებიან საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისაკენ, უზრუნველყოფენ მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სასკოლო პროექტები, საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები, სასწავლო რესურსები, საგნობრივი კურიკულუმი. საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექსური დავალებების იდეები, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამის გათვალისწინებით მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად, თემატურად შერჩეული ფილმების ჩვენებას, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების გააზრებულად კითხვას, რის შედეგადაც მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას. პრეზენტაციების დროს მსმენელი აცნობიერებს მომხსენებლის პოზიციას, გამოხატავს თანაგანცდას. გარდა ამისა, მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი და კომპლექსური დავალება. მაგალითად: პროექტი წყლის რესურსებზე, დაბის გზამკვლევი, ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი, მეცნიერი ქალები და ა.შ. განახორციელეს პროექტი „სამოქალაქო განათლებაში“ – „კიბერბულინგი“, პროექტის განხორციელების აქტივობები, მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარი, პროექტის განხორციელების ფარგლებში შექმნილი პრეზენტაცია ინტერნეტ საფრთხეებზე. სასკოლო პროექტი - „დემოკრატიული კულტურის განვითარება სკოლაში“. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. სკოლა აქვს შეფასების სისტემა, რომელშიც ჩანს მიდგომა, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი ზოგადი და კონკრეტული შეფასების რუბრიკები, წარმოაჩენს ხედვას შეფასების თვალსაზრისით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გადაწყვეტილებების ოქმით დასტურდება სამომავლო განწყობა და გეგმები შეფასების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიც. სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს: კომენტარი, უკუკავშირი, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. საშუალო საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები და მათ შორის თემებთან მიმართებით კონკრეტული შეფასების რუბრიკები ნიმუშების სახით, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. ჩანს რომ შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, როგორც ზოგადი ისე კონკრეტული განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. აღნიშნულის შესახებ მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მათი მზაობა. პედაგოგებმა იციან მეთოდები როგორ შექმნან შეფასების რუბრიკები სწორად, რათა მოსწავლეებს მოტივაცია არ დაეკარგოთ და სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურის მისაღწევ შედეგზეც გავიდნენ ამავდროულად, სკოლა გადასულია ელექტრონული ჟურნალის მოხმარებაზე და ყველა მშობელს აქვს საშუალება მთელი სემესტრის განმავლობაში გაეცნოს შვილის ნიშნებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლამ კათედრების დონეზე წარმოადგინა შეფასების ის ფორმები და ხერხები, რომელსაც აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა შედეგების გასაანალიზებლად და შემდგომში სწავლა-სწავლების პროგრესის უზრუნველსაყოფად. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს და სისტემატურად იხვეწება შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელი და შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს მომდევნო შუალედური სასწავლო მიზნის დასახვისას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტიც. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის, მოსწავლეთა ნამუშევრების, მათი აკადემიური მიღწევების, შემაჯამებელი ანალიზების, რეფლექსიების, კათედრის სამუშაო შეხვედრების დამადასტურებელი ოქმების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ასევე, ხარისხის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის სისტემა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შესაბამისი ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებმა ისაუბრეს დოკუმენტაციის არსებობის მნიშვნელობაზე, რომელიც ინახება სკოლის ადმინისტრაციასთან და კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას, შენახვას კანონმდებლობით დადგენილი არა ნაკლებ სამი წლის ვადით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი;
- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- კათედრის ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- ინდ. სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო რესურსები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრის პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სკოლაში ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს. სკოლაში აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოება და სხვა. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით მოსწავლეები გადიან მეტად აქტუალურ თემებს. იმართება შეხვედრები საშუალო კლასების მასწავლებლებისა და მშობლების, სადაც განიხილება მოსწავლის პროგრესი და საჭიროებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

მასწავლებლებთან გასაუბრებებით გამოიკვეთა, რომ მიიჩნევენ - სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირ პროპორციულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც ერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას. სკოლაში სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. საშუალო საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით. ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში, უზრუნველყოფილები არიან საჭირო რესურსებით, სასწავლო კომპიუტერებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს, ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები, ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება და ხორციელდება სასკოლო პროექტები. გასაუბრების დროს როგორც მასწავლებლებმა ახსენეს, სკოლაში, ასევე, დანერგილია ურთიერთდასწრების პრაქტიკა ,,კრიტიკული მეგობარი“, რომლის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისინი აძლევენ ერთმანეთს რეკომენდაციებს სხვადასხვა პრაქტიკასთან და გამოცდილებასთან დაკავშირებით და უზიარებენ უკუკავშირს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. სკოლისთვის პრიორიტეტულია ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. სკოლა მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, აღნიშნული კი პოზიტიური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. გარდა ამისა, გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. ისინი საუბრობდნენ ერთმანეთის მიღწევებისა და გამოცდილებების შესახებ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კლასის სადამრიგებლო საათი და სამოქმედო გეგმები;
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები;
- სადამრიგებლო საათის ოქმი;

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა და ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილსაც, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. სამომავლოდ იგეგმება მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა და მისი სრულყოფილად ამოქმედება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუდან და დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები, ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ხარისხი მაღალია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ისინი მიიჩნევენ, რომ მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. მონიტორინგის შედეგებში ნათლად აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება სწავლა-სწავლებაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები. ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს, წინსვლისა და განვითარებისათვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შეფასების მასალები;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის განხორციელების რეფლექსია;
- ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით: მოსწავლის დასწრების ფაქტორი, თემის ათვისების მაჩვენებელი. მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით, შეფასების მიზნიდან განისაზღვრება ის კონტექსტები და ფოკუსები, რაც სჭირდებათ მოცემულ კონტექსტში. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, დაბალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა. გარდა ამისა, პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, საჭიროებები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და სხვა. ამასთან, საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიხედვითაც დგინდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები, რაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებმა აღნიშნეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც, კერძოდ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება, მოსწავლეზე დაკვირვება. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნა, პროგრესი, საკლასო გარემო, სასწავლო რესურსები, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები. საშუალო საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სხვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პედაგოგებთან ინტერვიუ;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**
კათედრის წევრები მზაობას გამოთქვამენ სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება ასახონ მომავალი წლის კურიკულუმში. ისინი შეეცდებიან მიღებული გამოცდილება გამოიყენონ მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და საგნობრივი კურიკულუმის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. მასში გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, გასული წლის ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მთელი წლის განმავლობაში ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, რათა შეიმუშაონ იმ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში დანერგავენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. დოკუმენტაციის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და განახლდება ყოველწლიურად. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, განაზოგადებენ მას. ასევე, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე ადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. კათედრა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში გაითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, როგორც საკლასო, ასევე, საფეხურის დონეზე. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დანერგავენ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- პედაგოგებთან ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები

**შეფასება:**

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................
18.11.23
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: